ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01/230-16

ქ. თბილისი

14 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, წარმოდგენილი მისი ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბეჟან თურმანიძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორე მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი” მისი გენერალური დირექტორის, თემურ კოხოძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) ავტო-შეკეთების, კერძოდ: ავტომობილის პოლირების ტექნიკური მომსახურების (CPV50112000) შესყიდვა (ავტომანქანისათვის ტოიოტა ,,ქამრი” - სახ. ნომრით VIY 131, №JTNBK4FKX03001282) შემდეგი პირობების შესაბამისად:

დასახელება	*რაოდენობა (წყვილი)*	*ერთეულის ფასი მასალა (ლარი)*	*ერთეულის ფასი ხელობა (ლარი)*	*მთლიანი ღირებულება (ლარი)*
ნათურის შეცვლა	1	59	20	79
ჯამი				**79,00 ლარი**

1.2 შესყიდვის წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

1.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ და ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **79,00 (სამოცდაცხრამეტი)** ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №5.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენის და დადასტურების ან/და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მძღოლი გოდერძი წაწიშვილი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელთან განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემსყიდველისათვის წარდგენიდან, ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას პუნქტი 5.2 წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარისწორებაზე.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის გარანტია

6.1 შესყიდვის ობიექტზე, ვრცელდება გარანტია, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი.

6.2 პროდუქციის გაფუჭების შემთხვევაში, ნაკლის აღმოფხვრის ან ნივთის ახლით შეცვლის პირობები რეგულირდება მიმწოდებლის მიერ დადგენილი გარანტიის პირობების შესაბამისად.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული მომსახურება გამოდგება უხარისხო/ქარხნული წუნით ან სხვა ობიექტური მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს მიმწოდებელმა წუნდებული მომსახურება უნდა გამოასწოროს.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

გ) ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის წუნის შესახებ.

ბ) ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს მიწოდებული ნივთების საფასური.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად დროულად აღმოფხვრას შესყიდვის ობიექტის წუნი;

გ) ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.

8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის" მძღოლი გოდერძი წაწიშვილი.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა).
10.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
10.6 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მოლაპარაკების გზით.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
12.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
ქ.თბილისი, ნ.ბოხუას №19; ს/კ: 205146493
ტ: 238 11 61;
ელ-ფოსტა: bturmanidze@hsoj.ge
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

ბეჟან თურმანიძე
ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „თეგეტა მოტორსი”
ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5
ს/კ: 202177205;
ტ. 2244444*(1092)*; 595338039*(თემური)*;
ელ-ფოსტა: info@tegetamotors.ge
სს „თი ბი სი ბანკი” ც/ფ
ანგ. № GE80TB0600000024467853

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 14/12/2016 18:26

1	ეა-08 1408298

3	დეკემბერი	2016

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	14	დეკემბერი	2016

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	0	2	1	7	7	2	0	5		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს თეგეტა მოტორსი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	5	1	4	6	4	9	3		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	იუსტიციის უმაღლესი სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ავტოტექმომსახურება	მომსახურება	0.0000	79.0000	12.0500	0.0000
		სულ	79	12.05	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

მიღება–ჩაბარების აქტი: №01/230-16

14 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, წარმოდგენილი მძღოლის გოდერძი წაწიშვილის სახით "შემსყიდველი" და მეორე მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" მისი კორპორატიული მომსახურების ჯგუფის უფროსის თორნიკე ჩადუნელის სახით, - „მიმწოდებელი“ ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2016 წლის 14 დეკემბერს დადებული №01/230-16 ხელშეკრულების თანახმად, შპს „თეგეტა მოტორსის" მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მიწოდებული იქნა შემდეგი მომსახურება:

დასახელება	*რაოდენობა (წყვილი)*	*ერთეულის ფასი მასალა (ლარი)*	*ერთეულის ფასი ხელობა (ლარი)*	*მთლიანი ღირებულება (ლარი)*
ნათურის შეცვლა	1	59	20	79
ჯამი				**79,00 ლარი**

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას და ვადებში და მიწოდებული მომსახურების ღირებულება **79,00 (სამოცდაცხრამეტი)** ლარი ექვემდებარება ანაზღაურებას სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

"შემსყიდველი"
სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
მძღოლი

გოდერძი წაწიშვილი

"მიმწოდებელი"
შპს „თეგეტა მოტორსი"

თორნიკე ჩადუნელი
კორპორატიული მომსახურების ჯგუფის უფროსი